



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 198/ს
03/05/2023

198-21-4-202305031415



სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბოდბეში, შპს „ფორთ ფილარის“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემისა და 22 180 მ³ მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ფორთ ფილარის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბოდბეში, სამელიორაციო (სარწყავი) სისტემისა და 22 180 მ³ მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, შპს „ფორთ ფილარის“ სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბოდბეში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ 90 ჰა ფართობის მქონე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (56.10.70.211 და 56.10.70.040) დაგეგმილი აქვს ნუშის ნარგავების გაშენება, რისთვისაც ტერიტორიაზე მოეწყობა წვეთოვანი სარწყავი სისტემა და 22 180 მ³ მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარი. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი, სოფ. ქვემო ბოდბე, დაშორებულია 18 კმ-ით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. იორი - 80 მეტრით. დოკუმენტის მიხედვით, საპროექტო მონაკვეთი მდებარეობს სსიპ დაცული ტერიტორიების მართვას დაქვემდებარებული იორის აღკვეთილის საზღვრებში.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა: მდ. ივრიდან წყლის ასაღები სატუმბი სისტემა, სადაც განთავსდება 225.4 მ³/სთ წარმადობის ტუმბო; მაგისტრალური მილსადენი (სიგრძე 1643 მ); 22 180 მ³ მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარი და რეზერვუარიდან წვეთოვანი სარწყავი სისტემისთვის წყლის მიწოდების სატუმბ-გამანაწილებელი სადგური.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნუშის ნარგავების სარწყავი წყლით უზრუნველსაყოფად საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე (8525 მ²) დაგეგმილია 22 180 მ³ მოცულობის მქონე წყალშემკრები რეზერვუარის მოწყობა მიწაყრილით, რომლის ფსკერზე და ფერდებზე მოხდება გეომემბრანის ამოგება, შესაბამისი მოსამზადებელი და დამცავი ფენებით. რეზერვუარის წყლით შევსება მოხდება მდ. იორიდან, 225.4 მ³/სთ წარმადობის ტუმბოს საშუალებით. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X-560102, Y-4584177. მდინარიდან აღებული წყალი 1643 მ სიგრძის მაგისტრალური (PVC-200/10 და PVC-200/6) მიწისქვეშა მილსადენის საშუალებით შეგროვდება რეზერვუარში. შემკრები

რეზერვუარიდან წყლის მიწოდება სარწყავი სისტემის სატუმბ-გამანაწილებელ სადგურამდე მოხდება წყალგამშვები მილსადენით.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნუშის ბაღების მორწყვა განხორციელდება სეზონურად, 5 თვის (მაისი - 138 000 მ³, ივნისი - 141 000 მ³, ივლისი - 152 000 მ³, აგვისტო - 160 000 მ³, სექტემბერი - 139 000 მ³) განმავლობაში. კომპანიის მიერ წლის განმავლობაში სარწყავად აღებული წყლის მაქსიმალური მოცულობა შეადგენს 730 000 მ³-ს. მდ. იორიდან წყალაღების მაქსიმალური ხარჯი იქნება 0.063 მ³/წმ, რასაც არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაგეგმილი პროექტი არ ითვალისწინებს მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას. სამელიორაციო სისტემისა და მისი დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 3-4 თვეს და გამოყენებული იქნება 1 თვითმცლელი, 1 ბულდოზერი და 1 ექსკავატორი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სარწყავი სისტემისა და მისი დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საპროექტო ტერიტორიაზე მცენარეული საფარის და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის საჭიროება არ არის. საჭიროების შემთხვევაში, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და შემდგომი მართვა განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. მაგისტრალური მილსადენის განთავსებისათვის საჭირო ტრანშეის (სიგანე 0.5 მ, სიღრმე 100 სმ) მოწყობისას მოხსნილი ექსკავირებული გრუნტი განთავსდება ტრანშეის ერთ მხარეს და საპროექტო მილსადენის ტრანშეაში განთავსების შემდგომ, სრულად იქნება გამოყენებული უკუყრისთვის, ხოლო წყალშემკრები რეზერვუარის განთავსებისათვის ამოღებული გრუნტი სრულად იქნება გამოყენებული რეზერვუარის ფერდების მოსაწყობად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სტაციონარული წყაროების განთავსებას. სარწყავი სისტემისა და მისი დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობის (3-4 თვე) და უახლოეს დასახლებულ პუნქტთან დაშორების მანძილის (18 კმ) გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება სამელიორაციო სისტემის ფუნქციონირებას, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, იგი არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სარწყავი სისტემისა და მისი დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობის პროცესში ხმაურის წარმომქმნელი ძირითადი წყაროები იქნება სამშენებლო ტექნიკა. დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობის (3-4 თვე) და უახლოეს დასახლებულ პუნქტთან დაშორების მანძილის (18 კმ) გათვალისწინებით, საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. რაც შეეხება სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის ეტაპს, ხმაურის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება მდ. იორიდან წყლის ასაღები სატუმბი სისტემა (225.4 მ³/სთ წარმადობის ტუმბო) და რეზერვუარიდან წვეთოვანი სარწყავი სისტემისთვის წყლის მიწოდების სატუმბ-გამანაწილებელი სადგური. დოკუმენტის თანახმად, ხმაურის გამომწვევი წყაროები განთავსებული იქნება

ნახევრად დახურულ შენობაში, შესაბამისად წარმოქმნილი ხმაურის დონე უახლოეს დასახლებულ პუნქტთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, იქნება უმნიშვნელო.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომელიც შეგროვდება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების მიხედვით და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპანიას.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით, საპროექტო ტერიტორია დამაკმაყოფილებელ პირობებშია და არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები არ აღინიშნება. საკვლევი უბანი, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით მიეკუთვნება II (საშუალო) კატეგორიას. ამასთან, ტერიტორიაზე გრუნტის წყლები არ გამოვლენილა. დოკუმენტის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გეოდინამიკური და გეოლოგიური პროცესების განვითარების რისკები მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს. საპროექტო მონაკვეთი მდებარეობს სსიპ დაცული ტერიტორიების მართვას დაქვემდებარებული იორის აღკვეთილის საზღვრებში. აღნიშნულთან დაკავშირებით, შპს „ფორთ ფილარის“ მიერ განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭებაზე სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში წარდგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია.

წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია მდ. იორზე არსებული წყალმომხმარებლების შესახებ ინფორმაცია და შეფასებულია მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება. დოკუმენტის თანახმად, მდ. იორზე არსებული წყალმომხმარებლებისა და შპს „ფორთ ფილარის“ მიერ ჯამურად ასაღები წყლის რაოდენობის გათვალისწინებით, არ მოხდება მდინარე იორის დებიტზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.3 და მე-9 პუნქტის 9.9 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბოდბეში, შპს „ფორთ ფილარის“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემისა და 22 180 მ³ მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარის მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ფორთ ფილარი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ფორთ ფილარს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ფორთ ფილარის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და სიღნაღის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური



სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო